# ეფექტური კომუნიკაციის გავლენა მაძიებლობის პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტზე

**თამარ რუაძე, მაკა ჭიაბერაშვილი, ლელა სვიმონია**

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

**სამეცნიერო ხელმძღვანელი - მანანა რატიანი, ასოცირებული პროფესორი**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2021 წელი**

## განაცხადი

წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის შესაბამისად.

მაკა ჭიაბერაშვილი

თამარ რუაძე

ლელა სვიმონია

26.06.2021 წელი

# აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს თბილისის სსიპ ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლაში ჩატარებული პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე - „ეფექტური კომუნიკაციის გავლენა მაძიებლობის პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტზე“.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, ზოგადი განათლების სისტემის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური კადრის მოზიდვა შენარჩუნება.

ამ კვლევის მიზანია მაძიებელი მასწავლებლის მხარდაჭერა ეფექტური კომუნიკაციის საშუალებით მაძიებლობის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გავლისას.

კვლევის დროს გამოყენებულია, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. პრაქტიკის კვლევის პირველ ეტაპზე, სკოლის დირექტორთან ჩაღრმავებული ინტერვიუების საფუძველზე, მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება. საკვლევი კითხვები ეხებოდა შემდეგ საკითხს: მაძიებლობის პროგრამა განაპირობებდა თუ არა ეფექტურ კომუნიკაციას ტუტორსა და მაძიებელს, დირექტორსა და მაძიებელს შორის.

მეორე ეტაპზე ჩატარდა ფოკუს ჯგუფი სკოლის მაძიებელ პედაგოგებთან და ტუტორებთან, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა და განხორციელდა ინტერვენციები. განხორციელებული ინტერვენციების საფუძველზე გაიზარდა ტუტორებსა და მაძიებელ მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია, ტუტორმა პედაგოგებმა უფრო მეტად გააცნობიერეს თავიანთი როლი და დანიშნულება „მაძიებლობის პროგრამის“ წარმატებით განხორციელებაში. კვლევის ფარგლებში შექმნილი და გამოყენებული ინსტრუმენტები ხელს შეუწყობს პროექტის მდგრადობას და მაძიებლობის პროგრამის ეფექტიანობას.

**საძიებო სიტყვები: კომუნიკაცია, მოტივაცია, ტუტორი, მაძიებელი მასწავლებელი, ეფექტური კომუნიკაცია**

# Abstract

The current paper represents the report of Action research about “The Influence of Effective Communication on Practical Component of Teacher Seeker Program”, which was conducted in LEPL - Tbilisi Public School №186. To attract and to keep a well-qualified employee represents one of the most serious problems of liberal educational system, not only in different countries all over the world, but in Georgia as well.

The main purpose of this research introduces the support of the teacher seeker with the help of effective communication during the practical component of the teacher seeker program.

The quantitative and the qualitative methods of research were used during the action research in order to collect the data. At the beginning of the action research the problem was identified with in-depth interview sessions we organized with the school principal. The research questions applied to the following cases: whether effective communication among the tutor and the teacher seeker and among the principal and the teacher seeker would be pending by the teacher seeker program.

Communication between tutors and seeker teachers increased as a result of the interventions. The tutors became more aware of their roles and functions in successfully carrying out the “Teacher seeker program”. The tools created and used within the action research will contribute to the sustainability of the project and effectiveness of the Seeker Program.



***Keywords:*** **Communication, Motivation, Tutor, Seeker Teacher, Effective Communication**

# მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართულ სსიპ ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ თამარ მამსიკაშვილს, კვლევაში მონაწილე სკოლის მაძიებელ და ტუტორ პედაგოგებს თანამშრომლობისთვის და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის აქტიური დახმარებისა და მხარდაჭერისთვის. ასევე, გვსურს  მადლობა გადავუხადოთ თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ მანანა რატიანს გაწეული დახმარებისთვისა და მუდმივი თანადგომისთვის.